სასკოლო კვება დიდ ბრიტანეთში - მიმოხილვა

ისტორია და განვითარება

გაერთიანებულ სამეფოს **სასკოლო კვების უძველესი პროგრამა** აქვს მთელს მსოფლიოში. სასკოლო კვების ისტორია 1906 წელს იწყება, როცა ღარიბი ბავშვებისთვის შემუშავდა „უფასო სასკოლო კვების პროგრამა“ (FSM). მას შემდეგ სასკოლო კვების პოლიტიკა გაფართოვდა და გაუმჯობესდა, თუმცა კვლავაც აქტუალურია გაჭირვებაში მცხოვრები ბავშვების **დაცვის მექანიზმების**[1] უზრუნველყოფის თავდაპირველი მიზანი. სასკოლო კვების პროგრამა, დიდი ხანია, გასცდა მხოლოდ სადილის (ლანჩის) უზრუნველყოფას და მოიცავს საუზმეს, ხილისა და ბოსტნეულის სქემებს, სკოლისშემდგომ კვებას, რძის სქემებს, არდადეგებზე საკვებით უზრუნველყოფასა და კვებით განათლებას.

თითოეულ **დევოლუციურ (სამეფოს შემადგენელ) ქვეყანას** შემუშავებული აქვს საკუთარი პროგრამა და პოლიტიკა. უელსისა და შოტლანდიის დაწყებით სკოლებში დანერგილია „**საყოველთაო უფასო სასკოლო კვება“** (UFSM), ხოლო ინგლისსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედებს ნაწილობრივი უზრუნველყოფის მოდელი. შოტლანდიაში სკოლამდელ დაწესებულებების აღსაზრდელებსა და დაწყებითი სკოლის პირველი ხუთი კლასის მოსწავლეებს ეკუთვნით საყოველთაო უფასო სასკოლო კვება. ასევე, უკვე გაისად, იგეგმება მოცემული სქემის განვრცობა მეექვსე და მეშვიდე კლასებზეც. უელსის მთავრობამ საყოველთაო უფასო სასკოლო კვების დანერგვა 2022 წელს დაიწყო, რათა 2024 წლისთვის პროგრამით სარგებლობა დაწყებითი სკოლის ყველა მოსწავლეს შეეძლოს. ინგლისში 4-დან 7 წლამდე ბავშვებს ეკუთვნით „სკოლამდელი ასაკის ბავშვების საყოველთაო უფასო კვება“ (UIFSM)[2].

ოთხივე ქვეყანაში უფასო სასკოლო კვება ხელმისაწვდომია იმ ოჯახებისთვის, რომელთა საერთო შემოსავალიც, შემოწმების (დადასტურების) საფუძველზე, არ აღემატება **£16,190**-ს (თუკი სარგებლობენ შემოსავალების დადასტურების საფუძველზე გაცემული კონკრეტული შეღავათებით) ან **£14,000**-ს (თუკი სარგებლობენ საყოველთაო კრედიტით) ჩრდილოეთ ირლანდიაში, **£7,920**-ს _ შოტლანდიაში, ხოლო **£7,400**-ს _ ინგლისსა და უელსში (გადასახადებისა და შეღავათების გარეშე).

პოლიტიკური პროცესების ქრონოლოგია	
„განათლების (კვების უზრუნველყოფის) აქტი“	1906
სასკოლო კვების პირველი ეროვნული პოლიტიკა	1941
განათლების ახალი აქტით განისაზღვრა, რომ სასკოლო კვება უნდა ყოფილიყო ყოველდღიური მთავარი კერძის ტოლფასი	1944
განათლების ახალმა აქტმა კვებიდან ამოიღო რძე და შეამცირა უფასო სასკოლო კვებით მოსარგებლეების რიცხვი	1980
შემოვიდა სასკოლო კვების სტანდარტი	2000
ჩრდილოეთ ირლანდიაში შემოვიდა „სასკოლო კვების სავალდებულო ნუტრიციული სტანდარტი“	2005
შოტლანდიის „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ნუტრიციის აქტი“	2007
გამოქვეყნდა ინგლისის „სასკოლო კვების გეგმა“	2013
„სკოლამდელი ასაკის ბავშვების საყოველთაო უფასო კვება“ (UIFSM)	2014
ინგლისში ამოქმედდა სასკოლო კვების სავალდებულო სტანდარტი	2015
უფასო სასკოლო კვების პროგრამა განივრცო და კოვიდ-19-ის, არდადეგებისა თუ კარანტინის პერიოდში უზრუნველყოფილი იყო ფულადი ეკვივალენტი	2020
იწყება უელსში „საყოველთაო უფასო სასკოლო კვების“ სისტემის დანერგვა შოტლანდიაში დამტკიცდა „კარგი საკვების ქვეყნის“[3] აქტი	2022

10.4 მილიონი მოსწავლე გაერთიანებულ სამეფოში	29 474 მთავრობის მიერ დაფინანსებული სკოლა გაერთიანებულ სამეფოში	> 1.29 მილიარდი კერძი ყოველ წელს

მასალა ადაპტირებულია Research Consortium for School Health and Nutrition, World Food Programme UK 2022 წელს მომზადებული აღწერის საფუძველზე

[1] ინგ. Safety net - უსაფრთხოების ბადე. გულისხმობს სოციალური დაცვის მექანიზმთა ერთობლიობას.
[2] გაერთიანებულ სამეფოში, 4-8 წლის ბავშვს მოიხსენიებენ ტერმინით “infant”. მოცემული პროგრამის ზუსტი დასახელება ქართულად პირდაპირ ვერ ითარგმნება და გულისხმობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 4-8 წლის ასაკის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ უნივერსალურ უფასო კვებას.
[3] სიტყვები „კარგი საკვები“ აქ გულისხმობს შოტლანდიის გაცხადებულ პოლიტიკას, რომ 2025 წლისთვის ჯანსაღი საკვები უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი.

ოთხი ქვეყნის სისტემა
გაერთიანებული სამეფოს თითოეულ ქვეყანაში უფასო კვებით სარგებლობს დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის: ინგლისი _ 36.6% შოტლანდია _ 51.9% ჩრდილოეთ ირლანდია _ 28.4% უელსი _ 25.2%
კონცეპტუალური და საკანონმდებლო ჩარჩო გაერთიანებულ სამეფოში თითოეულ ქვეყანას პოლიტიკის საკუთარი ჩარჩო და სასკოლო კვებასთან დაკავშირებული ეროვნული კულტურა აქვს. ეს ნიშნავს, რომ გაერთიანებულ სამეფოში მოქმედებს სასკოლო კვების პოლიტიკისა და უზრუნველყოფის ოთხი სხვადასხვა მოდელი. სისტემებს შორის განსხვავებები ურთიერთსწავლისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას ქმნის, რითაც, საერთო ჯამში, გაერთიანებული სამეფოს სასკოლო კვების ერთიანი სისტემაც სარგებლობს.
შოტლანდია **„კარგი საკვების აქტი“ (2022)** ეყრდნობა კონცეფციას, რომ საზოგადოებრივი საკვები, მათ შორის, სასკოლო საკვები შოტლანდიაში **კვების სისტემის ცვლილების** მთავარ სტიმულს წარმოადგენს და გამოკვეთს მომარაგების (შესყიდვის), განვითარებისა და განხორციელების პროცესების მდგრადობის მნიშვნელობას. შოტლანდიამ მიაღწია საყოველთაო უფასო სასკოლო კვების სისტემასთან დაკავშირებულ **პოლიტიკურ კონსენსუსს**. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით დანერგილია **ოფიციალური შემოწმების** სისტემა. შოტლანდიის სასკოლო ნუტრიციული და კვებითი სტანდარტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე **მკაცრად რეგულირებულ** მოდელს წარმოადგენს.
ჩრდილოეთ ირლანდია ჩრდილოეთ ირლანდიის **სასკოლო კვების პოლიტიკა _ „ჯანსაღი საკვები ჯანსაღი შედეგებისთვის“ _** ახალისებს **მთლიანი სკოლის ჩართულობის მოდელს** და ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული ცოდნა-უნარების განვითარებას. ჩრდილოეთ ირლანდიაში უფასო სასკოლო კვებით სარგებლობის კრიტერიუმების შედარებით ვრცელი დიაპაზონი უფრო მეტ ბავშვს უზრუნველყოფს უფასო კვებით, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს სხვა ქვეყნები, რომლებიც შემოსავლის დადასტურების საშუალებით ადგენენ უფასო სასკოლო კვების პროგრამასთან შესაბამისობას. ამასთან, ჩრდილოეთ ირლანდიის **„სასკოლო კვების ფორუმი“ სამინისტროთაშორის (დეპარტამენტთაშორის) დიალოგს** უწყობს ხელს.
ინგლისი ინგლისის სასკოლო კვების პოლიტიკა **მთლიანი სკოლის ჩართულობის მოდელს** ეყრდნობა. პოლიტიკა განაპირობა **ჯანმრთელობის, საკვების უსაფრთხოებისა** და **სწავლის შედეგების** საკითხებმა და არა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დომინანტურმა ჩარჩომ.
უელსი უელსს სასკოლო კვების გრძელვადიანი ხედვა აქვს, რაც გაცხადებულია „**მომავალი თაობების კეთილდღეობის აქტში“ (2015).** ეს აქტი ერთვის ბავშვთა უფლებების დაცვის ეროვნულ კულტურას, რაც გულისხმობს **ჯანსაღი კვების უფლებას** და გადაწყვეტილებას, რომ **არცერთი ბავშვი არ იყოს მშიერი.**

ნასწავლი გაკვეთილები და საუკეთესო პრაქტიკა	
1. **მდგრადობა**	გაერთიანებული სამეფოს სასკოლო კვების სისტემამ სოციალური ცვლილების საუკუნოვანი გზა გაიარა. ამ პერიოდის მანძილზე ვითარდებოდა და ფართოვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა, სულ მცირე, 30-ჯერ შეიცვალა. გაერთიანებული სამეფოს საზოგადოებამ გაითავისა სასკოლო საკვებთან დაკავშირებული წესები და მოლოდინები, რის საფუძველზეც შეინარჩუნა და დაიცვა ეს სისტემა.
2. **ურთიერთსწავლება**	თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი, მისთვის თვისებრივად შემუშავებული პოლიტიკა, პროგრამები და განხორციელების მექანიზმები, რომლებიც ოთხივე იურისდიქციას ერთმანეთისგან სწავლისა და, საერთო ჯამში, მთლიანი სისტემის გაუმჯობესების საშუალებას აძლევს.
3. **პარტნიორობა**	გაერთიანებულ სამეფოში სასკოლო კვების სისტემა თანამშრომლობითია, რომლის ფარგლებშიც საკვები იწარმოება და მიეწოდება სკოლებს ეფექტური პარტნიორობების (რომლებიც მოიცავს სკოლებს, მომმარაგებლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას) საშუალებით.
4. **მრავალფეროვანი სტიმულები და მრავალსექტორული ამონაგები**	სასკოლო პოლიტიკაში ცვლილებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს: გრძელვადიანი ხედვა და დაგეგმარება, საკვების უსაფრთხოების პრობლემებზე რეაგირება, თანასწორობისა და კვების უფლების დაცვა და, სხვა ყველაფერთან ერთად, საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მაშასადამე, გაერთიანებული სამეფოს სასკოლო კვების ინვესტიციის ამონაგები მრავალსექტორულ ამონაგებს წარმოადგენს.
5. **მთლიანი სკოლის მიდგომა**	მთლიანი სკოლის ჩართულობის მოდელი (მიდგომა) ითვალისწინებს, რომ სასკოლო კვება ბევრად მეტია, ვიდრე შიმშილის აღმოფხვრა. ამ მოდელში ყურადღება ეთმობა სპეციალური კურიკულუმის საშუალებით საკვებთან დაკავშირებულ განათლებას, სკოლის გარემოში ჯანსაღი საკვების შეთავაზებას და ერთობლივად კვების სოციალური გარემოს წახალისება-განმტკიცებას.